09.06.2015

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2015 წლის I კვარტალი

(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წლის I კვარტალში 175 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34 პროცენტით ნაკლებია 2014 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას 2013-2015 წლების დინამიკაში.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2015* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2013-2015* წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის I კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 444 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2015* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014*				2015*
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**265**	**151**	**508**	**349**	**175**
მათ შორის:									
შემომავალი ნაკადები	443	618	621	551	407	480	703	607	444
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-191	-410	-366	-324	-142	-330	-196	-257	-269

*წინასწარი მონაცემები.

2015 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №2):

ცხრილი №2. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2015 წლის I კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014*				2015*
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**265**	**151**	**508**	**349**	**175**
მათ შორის:									
აზერბაიჯანი	42	16	-13	37	47	77	95	84	59
თურქეთი	-4	36	17	-7	30	25	20	-7	27
რუსეთი	2	-3	-11	14	20	18	16	11	23
ნიდერლანდები	36	30	38	48	81	93	90	67	22
დანია	0	4	2	3	0	4	3	3	21
აშშ	16	18	22	-11	18	15	26	21	19
ბელიზი	-0	-0	-0	-7	-0	0	-0	1	14
გაერთიანებული სამეფო	19	-21	28	29	35	-14	27	66	12
მავრიკი	6	0	3	-5	0	2	0	0	12
ლუქსემბურგი	2	117	11	12	11	48	12	14	12
დანარჩენი ქვეყნები	132	10	156	113	23	-118	217	90	-45

*წინასწარი მონაცემები.

2015 წლის I კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №2, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 34 პროცენტით, მეორეზე - თურქეთი 15 პროცენტით, ხოლო მესამეზე - რუსეთი 13 პროცენტით.

დიაგრამა №2.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2015* წლის I კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2015 წლის I კვარტალის მიხედვით ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილში №3:

ცხრილი №3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013-2015* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014*				2015*
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**265**	**151**	**508**	**349**	**175**
მათ შორის:									
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	36	28	51	26	44	101	109	90	146
მშენებლობა	5	49	-3	-0	6	21	181	87	24
სამთომოპოვებითი მრეწველობა	16	8	8	11	15	11	8	14	18
სასტუმროები და რესტორნები	0	-16	2	1	2	-2	10	29	17
ენერგეტიკა	52	71	74	48	12	45	36	6	11
დამამუშავებელი მრეწველობა	16	28	13	43	46	58	48	22	5
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	1	2	4	5	1	5	8	4	2
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0	-0	0	0	-0	1	0	0	0
უძრავი ქონება	-12	13	32	10	11	41	61	-26	-10
დანარჩენი სექტორები	138	25	75	84	129	-129	45	122	-38

*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი სექტორების წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2015 წლის I კვარტალში 97 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 146 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 83 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობა 24 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - სამთომოპოვებითი მრეწველობა 18 მლნ. აშშ დოლარით. საბანკო სექტორში, 2015 წლის I კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უარყოფითი ნიშნით დაფიქსირდა და - 18 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015 წლის I კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №3:

დიაგრამა №3.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015* წლის I კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

წყარო:
1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

2014 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2015 წლის 17 აგვისტოს.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 32) 36 72 10 (300). E-mail: ldzebisauri@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge